



NILOTINIB - TASIGNA®

რა არის TASIGNA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
ნილოტინიბი	150 მგ კაფსულა: წითელი 200 მგ კაფსულა: ყვითელი 

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის მგ/დღეში, ანუ 150 მგ-იანი კაფსულა
და/ან 200 მგ-იანი კაფსულა.

გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაშლის ან წყალში გახსნის გარეშე.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს, საკვების მიღებისგან მოშორებით (კვებამდე 1 საათით ადრე ან
კვებიდან 2 საათის შემდეგ).

დავინწყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

დღეში 2-ჯერ, ფიქსირებულ დროს, კვებამდე 1 საათით ადრე ან კვებიდან 2 საათის შემდეგ	 < 1სთ 2სთ >	 < 1სთ 2სთ >	 < 1სთ 2სთ >					
უწყვეტლივ	 დ1	 დ2	 დ3	 დ4	 დ5	 დ6	 დ7	...  დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელით მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ
თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზის აღება,
რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ელექტროლიტების დონეს, როგორიცაა
კალიუმი, სისხლში შაქრის დონეს, ქოლესტერინს, ღვიძლისა და პანკრეასის ფუნქციებს) და კლინიკურ
მეთვალყურეობას (არტერიული წნევა, ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი
პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური
კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და სხვა მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

TASIGNA®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები
(პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და
მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები
პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც
იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას, გრეიფრუტის, ბოლდოს, ფიკუსის, აზიური ჟენშენის, პასიფლორას



მოხმარებას TASIGNA®-თან ერთად მიღებას.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, კუჭის შეკრულობა და მუცლის ტკივილი ზოგადი დარღვევები: კიდურების და/ან სახის შეშუპება ბიოლოგიური ანალიზის დარღვევები: თრომბოციტების შემცირება (თრომბოციტოპენია), ჰემოგლობინი (ანემია), პოლინუკლეარული ნეიტროფილები (ნეიტროპენია), ღვიძლისა და პანკრეასის ფუნქციის დარღვევები, ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების მომატება ტკივილი: კუნთებისა და სახსრების ტკივილი, თავის ტკივილი კანის დარღვევები: გამონაყარი, კანის სიმშრალე, ქავილი და თმის ცვენა. გულის პრობლემები: ძლიერი, გახშირებული ან არარეგულარული გულისცემა, სუნთქვის უკმარისობა, ტკივილი გულმკერდის არეში და დღლილობა
ზოგ პაციენტს ესაჩიროება განსაკუთრებული ყურადღება	B ჰეპატიტის ვირუსის მქონე პაციენტები პაციენტები, რომლებსაც აქვთ გულის რიტმის დარღვევების ანამნეზი
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: > მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში > ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა > ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში > 24 საათის განმავლობაში დაღევის და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა. > კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა ინფექციის მიმანიშნებელი სიმპტომები > ტემპერატურა > 38.5°C > ხველა, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვის დროს, დიარეა სიცხესთან ერთად ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში > თავის ტკივილები > სახსრების ტკივილი წყლის შეკავებაზე მიმანიშნებელი სიმპტომები > წონის სწრაფი და მოულოდნელი მატება გულის დარღვევის მიმანიშნებელი სიმპტომები > სუნთქვის უკმარისობა, გულის ფრიალი, ტკივილი , ან დაჭიმულობა გულმკერდის არეში
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია	
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი და მოერიდეთ მზის სხივების ზემოქმედებას.
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს ან წყლის შეკავების შემთხვევაში.
წყლის შეკავება (კიდურების შებერილობა)	მოერიდეთ მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელს. აანყვით ფეხები სიმაღლეზე.
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.



კუჭის შეკრულობა	კიჭ-ნაწლავის ტრანზიტის სტიმულირებისთვის, დაკავდით ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობით.
დაღლილობა	ამჯობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
სახსრების ტკივილი	განახორციელეთ ადაპტირებული ფიზიკური აქტივობა.
თმის ცვენა	გამოიყენეთ რბილი შამპუნი (ჩვილებისთვის განკუთვნილი) მცირე დოზით. უპირატესობა მიანიჭეთ რბილ კბილის ჭაგრისს მოერიდეთ თმის ძალიან ხშირად დაბანას. მოერიდეთ სითბოს წყაროებს (ფენი, ცხელი ბიგუდები, თმის უთოები), თმის შეღებვას, შეღებვას და ქიმიურ დახვევას.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. მოერიდეთ უმ ხილს და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წყლის შეკავება	უპირატესობა მიანიჭეთ მარილის დაბალი შემცველობის დიეტას.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
პანკრეასის ფუნქციის დარღვევები	მოერიდეთ ალკოჰოლის მოხმარებას